გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება N104

2023 წლის 9 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

კერძო პირების მიერ ხშირად გამოხატული ინტერესიდან გამომდინარე, რომელც გულისხმობს ქალაქ გორის ტერიტორიაზე კომერციული საქმიანობისთვის მარტივი კონსტრუქციების განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით გადაცემას, გორის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა ქალაქის ტერიტორიაზე მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და მუნიციპალიტეტისთვის დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით, თვითონ მოეხდინა კონკრეტული ლოკაციების შერჩევა და მითითებული მიზნისთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

ქალაქ გორის ტერიტორიაზე შეირჩა 8 (რვა) უძრავი ქონება, კერძოდ:

1. ქალაქი გორი, გელდიაშვილის ქუჩაზე მდებარე 14.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.21.348. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2023 წლის 07 აპრილის N084-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 6 900 (ექვსი ათასცხრაასი) ლარი.
2. ქალაქი გორი, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 35.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.22.311. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2023 წლის 07 აპრილის N091-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 4 000 (ოთხი ათასი) ლარი.
3. ქალაქი გორი, მშვიდობის გამზირზე მდებარე 11.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.16.383. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2023 წლის 07 აპრილის N085-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 2 700 (ორი ათასშვიდასი) ლარი.

4. ქალაქი გორი, მშვიდობის გამზ. N12-ზე მდებარე 30.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.16.385. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2023 წლის 07 აპრილის N086-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 6 500 (ექვსი ათასხუთასი) ლარი.
5. ქალაქი გორი, სტალინის გამზ. მდებარე 30.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.29.240. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2023 წლის 07 აპრილის N088-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 5 100 (ხუთი ათასასი) ლარი.
6. ქალაქი გორი, ქართლის ქუჩაზე მდებარე 155.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.17.234. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2023 წლის 21 აპრილის N099-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი. (155.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 100.00 კვ.მეტრი განიკარგება მარტივი ტიპის კონსტრუქციის განსათავსებლად, ხოლო 55.00 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი მოწესრიგდება და მოეწყობა საზოგადოებრივი სივრცე.)
7. ქალაქი გორი, 26 მაისის სანაპიროზე მდებარე 1609.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. 66.45.17.427) ნაწილი ფართი 1000.00 კვ.მ. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2023 წლის 21 აპრილის N100-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 615 000 (ექვსასთხუთმეტი ათასი) ლარი.
8. ქალაქი გორი, სუხიშვილის ქუჩაზე მდებარე 70.00 კვ.მ.კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.10.866. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2023 წლის 16 მაისის N133-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 23 200 (ოცდასამი ათასორასი) ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ზემოთ აღნიშნული ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და იჯარის წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8 (რვა) უძრავი ქონება, კომერციული საქმიანობისთვის, მარტივი კონსტრუქციების

განთავსების მიზნით გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით;

ა) ქალაქი გორი, გელდიაშვილის ქუჩაზე მდებარე 14.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.21.348. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 6 900 (ექვსი ათასცხრაასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 960 (ცხრაას სამოცი) ლარით.

ბ) ქალაქი გორი, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 35.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.22.311. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 4 000 (ოთხი ათასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 960 (ცხრაას სამოცი) ლარით.

გ) ქალაქი გორი, მშვიდობის გამზირზე მდებარე 11.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.16.383. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 2 700 (ორი ათასშვიდასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 600 (ექვსასი) ლარით.

დ) ქალაქი გორი, მშვიდობის გამზ. N12-ზე მდებარე 30.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.16.385. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 6 500 (ექვსი ათასხუთასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 900 (ცხრაასი) ლარით.

ე) ქალაქი გორი, სტალინის გამზ. მდებარე 30.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.29.240. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 5 100 (ხუთი ათასასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 960 (ცხრაასსამოცი) ლარით.

ვ) ქალაქი გორი, ქართლის ქუჩაზე მდებარე 155.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.17.234. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 3600 (სამიათას ექვსასი) ლარით. (155.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 100.00 კვ.მეტრი განიკარგება მარტივი ტიპის კონსტრუქციის განსათავსებლად, ხოლო 55.00 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი მოწესრიგდება და მოეწყობა საზოგადოებრივი სივრცე).

ზ) ქალაქი გორი, 26 მაისის სანაპიროზე მდებარე 1609.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. 66.45.17.427) ნაწილი ფართის 1000.00 კვ.მ. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 615 000 (ექვსასთხუთმეტი ათასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე (1000.00 კვ.მ.) განისაზღვროს: 19200 (ცხრამეტიათას ორასი) ლარით.

თ) ქალაქი გორი, სუხიშვილის ქუჩაზე მდებარე 70.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.10.866. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 23 200 (ოცდასამი ათასორასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 1440 (ათასოთხას ორმოცი) ლარით.

2. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

3. აუქციონის პირობებად განისაზღვროს შემდეგი:

ა) ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები გაცემული იქნეს კომერციული საქმიანობისთვის, მარტივი კონსტრუქციების განთავსების მიზნით, რომლის ზომები და იერსახე უნდა შეთანხმდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურთან.

ბ) მოიჯარე ვალდებულია იჯარის მოქმედების მთელ პერიოდზე დარეგისტრირდეს აბონენტად შესაბამისი კომუნალური მომსახურების გამწევ ორგანიზაციებში (ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალმომარაგება, დასუფთავება);

გ) მოიჯარე ვალდებულია მოაწყოს სველი წერტილი იჯარის ობიექტზე იმ შემთხვევაში, თუ გორის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული პირობა აუქციონის გამოცხადებისას გათვალისწინებული იქნება წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ რომელიმე ქონებაზე.

გ) გორის მუნიციპალიტეტის მერია, თავისი ინტერესებდინად გამომდინარე ცალმხრივად შეწყვეტს იჯარის ხელშეკრულებებს ნებისმიერ დროს, რის შესახებაც მხარეს აცნობებს 2 (ორი) კვირით ადრე.

4 .განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

5 .განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე